საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერწო-თიანეთი

ერწო-თიანეთი, მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავს მდ. ივრის ზემოთის ზეგანს (თიანეთის მუნიციპალიტეტი). ისტორიულად წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ორ ცალკეულ ისტ.-გეოგრ. რეგიონს – ერწოსა და თიანეთს. ერთობლივი ისტ. განვითარებისა და მჭიდრო კავშირის გამო ისინი უძველეს წყაროებშივე ერთად მოიხსენიება. ე.-თ. ადმინისტრაციულად კახეთის საერისთავოში შედიოდა. გადმოცემის თანახმად, IV ს-ში ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო აქ ქრისტიანობას ქადაგებდა. ხელსაყრელი გეოგრ. მდებარეობა ე.-თ-ს დიდ სტრატეგიულ და ეკონ. მნიშვნელობას ანიჭებდა. აქ გადიოდა სავაჭრო მაგისტრალის ერთ-ერთი განშტოება, რ-იც ქართლის ადრინდ. ფეოდ. სახელმწ. ალბანეთსა (კავკასიისა) და სომხეთთან აკავშირებდა. გარკვეულ პერიოდში თიანეთი იყო პლაცდარმი, საიდანაც ქართლის სამეფო პოლიტ. და კულტ. ზეგავლენას ახდენდა კავკ. მთიანეთზე. საქართვ. *პოლიტ.* გაერთიანებისათვის ბრძოლაში „აფხაზთა მეფეები", პირველ რიგში, თიანეთის დაპყრობით ცდილობდნენ კახეთი თავიანთი *პოლიტ.* გავლენის ქვეშ მოექციათ. XIII ს-ში ე.-თ. არაერთხელ დალაშქრეს მონღოლებმა. XV ს-ში, ერთიანი საქართვ. ფეოდ. სახელმწიფოს პოლიტ. დაშლის შემდეგ, ე.-თ. კახეთის სამეფოს ერთ-ერთი სამოურავო გახდა. იგი ხშირად სადავო ტერიტორია იყო კახეთის სამეფოსა და არაგვის საერისთავოს შორის. ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის ეკონ. ინტერესები არსებითად ე.-თ-თან იყო დაკავშირებული, ამიტომაც იგი ძირითადად მთიელი ქართველებითაა დასახლებული.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

დ. მუსხელიშვილი